EUROPEAN PRISON LITIGATION NETWORK

ევროპის ციხეები: ადგილობრივი სამართლებრივი სიახლეები

წინამდებარე შეჯამებაში ***European Prison Litigation Network EPLN (ევროპული ციხის სამართალწარმოების ქსელი), მისი წევრები და პარტნიორები ევროპის მასშტაბით*** *მიზნად ისახავენ ადგილობრივი იურისტებისა და ევროპის მასშტაბით სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების ინფორმირებას ციხის საკითხებზე უმნიშვნელოვანესი სამართლებრივი მოვლენების შესახებ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ ეს საშუალებას მოგცემთ, უკეთ მოახდინოთ ევროპული ტენდენციების იდენტიფიცირება და გამოიყენოთ ისინი თქვენს იურიდიულ პრაქტიკაში. შეჯამება მოიცავს* ***ევროკავშირის 14 წევრ ქვეყანას****, აგრეთვე* ***უკრაინას, მოლდოვას, დიდ ბრიტანეთსა და რუსეთს****.*

ვენ მივესალმებით თქვენს უკუკავშირს, თუ როგორ ვაქციოთ ეს ბიულეტენი თქვენთვის უფრო სასარგებლოდ.

ციხის სამართლებრივი სიახლეების მიმოხილვა
დეკემბერი 2022-თებერვალი 2023

დაკავების ალტერნატივები ■ საბერძნეთში მინისტრის განკარგულებით შემოღებულ იქნა საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომის, როგორც პატიმრობის ალტერნატივის დეტალური პირობები, რაც ამ სქემის პრაქტიკული გამოყენების საშუალებას იძლევა, რომელიც ბერძნულ სისხლის სამართლის ახალ კოდექსში 2019 წელს დაინერგა.

დაკავების პირობები ■ ბულგარეთში ადმინისტრაციულმა სასამართლომ ციხის გარემოს ელემენტების გაფართოებით, რაც შეიძლება წარმოადგენდეს არაადამიანურ და დამამცირებელ მოპყრობას, მათ შორისაა - პასიური მოწევა, მნიშვნელოვნად გააფართოვა პატიმრებისთვის შეთავაზებული დაცვის ფარგლები.

საფრანგეთში უზენაესმა ადმინისტრაციულმა სასამართლომ უარი თქვა საფრანგეთის გულანას ციხეში დაკავების პირობების გასაუმჯობესებლად არასამთავრობო ორგანიზაცია International Prison Watch (OIP-SF) შემოთავაზებულ დროებით საშუალებაზე. ეს გადაწყვეტილება, რომელიც შეესაბამება უზენაესი სასამართლოს წინა პრეცენდენტულ სამართალს, მიუთითებს იმაზე, რომ არ არსებობს პატიმრებისათვის ხელმისაწვდომი ეფექტური პრევენციული საშუალება, რომ ბოლო მოეღოს პატიმრობის არაადეკვატურ პირობებს.

პოლონეთში, იუსტიციის მინისტრის მოადგილემ აცნობა ადამიანის უფლებების კომისარს, რომ მისი შეთავაზება ქალი პატიმრების საცვლებისათვის ლიფების დამატების შესახებ, რომლებიც ციხის სერვისებმა უნდა უზრუნველყოს, თუ პატიმარს საკუთარი არ გააჩნია, ან მათი საკუთარი გამოსაყენებლად უვარგისია, დადებითად იქნა შეფასებული.

ბელგიაში რამდენიმე მერმა ბრძანება გასცა ციხის დირექტორებისათვის, რომ არ გადაეჭარბებინათ დაწესებულების მაქსიმალური დაშვებისათვის და გაეუქმებინათ პატიმრების იატაკზე, მატრასზე ძილის პრაქტიკა. ასევე ბელგიაში უზენაესმა სასამართლომ გამოაცხადა, რომ გამომძიებელ სასამართლოს შეუძლია შეაფასოს დაკავების პირობები წინასწარი პატიმრობის ცენტრებში და საჭიროების შემთხვევაში გასცეს პატიმრის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის ბრძანება.

უნგრეთში შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულება ზღუდავს პატიმრების მიერ მათ საკანში ნებადართული ელექტრონული მოწყობილობების ტიპებს.

დაკავების რეჟიმები ■ ესპანეთში, უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ დაადგინა, რომ მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებული პატიმრების ღია რეჟიმში მოთავსების გადაწყვეტილების თაობაზე სახალხო პროკურორის მიერ შეტანილ სარჩელს აქვს შემაჩერებელი ეფექტი. ამით უზენაესი სასამართლო აერთიანებს სასამართლო ხელისუფლების მიდგომას ამ საკითხთან დაკავშირებით.
ლიეტუვაში, დაარსდა მეექვსე „halfway house" მსჯავრდადებულებისათვის. „Halfway house"-ის მთავარი ამოცანა არის პატიმრების მომზადება გათავისუფლებისათვის რეინტეგრაციის საშუალებებით.
იტალიაში, იტალიის უზენაესმა სასამართლომ უარყო „მკაცრი ციხის" რეჟიმის გამოყენების თაობაზე პატიმრის სარჩელი, რომელიც ანარქისტულ მოძრაობასთან დაკავშირებულ ტერორისტული აქტების ჩადენაში იყო მსჯავრდადებული (ცნობილი, როგორც „41-bis" რეჟიმი, ამ საკითხის მარეგულირებელი კანონის სპეციფიკური მუხლის შესაბამისად). საქმე ხაზს უსვამს ამ რეჟიმის თანმდევ მკაცრ საცხოვრებელ პირობებს და აგრეთვე მის საეჭვო კონსტიტუციურობას, და იგი იქცა საჯარო დებატების, აგრეთვე იტალიაში იურისტ მეცნიერთა და პროფესიონალთა შორის დისკურსის ცენტრალურ თემად.

ექსტრადიცია ■ ბულგარეთში, რეგიონულმა სასამართლომ უარი თქვა რუსეთის ფედერაციის მიერ მოთხოვნილი პატიმრის ექსტრადიციაზე, იმ საფუძვლით, რომ ის შეიძლება გამხდარიყო წამებისა და არასათანადო მოპყრობის მსხვერპლი. სხვა საკითებს შორის სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნება არასამთავრობო ორგანიზაციის „ბულგარეთის ჰელსინკის კომიტეტის" მიერ რუსეთში ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით სიტუაციისა და კანონის უზენაესობის შესახებ მომზადებულ ანგარიშს.

ჯანმრთელობა ■ მოლდოვაში, იუსტიციის სამინისტრომ მიიღო ციხის ჯანმრთელობის დაცვასთან დაკავშირებით 2023 წელს მისაღები ზომების დეტალური სამოქმედო გეგმა და ციხეში სამედიცინო დახმარების ორგანიზების თაობაზე ბრძანება.
პორტუგალიაში მთავრობამ ჩამოაყალიბა 2023-2030 წლებისათვის პურტუგალიის ციხეებში ჯანდაცვის სამოქმედო გეგმის მომზადებაზე პასუხისმგებელი სამუშაო ჯგუფი.
უნგრეთში შინაგან საქმეთა სამინისტროს დადგენილებით საფუძველი ჩაეყარა მძიმედ დაავადებული პატიმრებისთვის „შინა პატიმრობაში მკურნალობას".

დაპატიმრებული უცხოელები ■ უნგრეთში, სამთავრობო დადგენილებით შემოღებულ იქნა არაუნგრელი პატიმრების სხვა ქვეყნისთვის გადაცემის კონკრეტული წესები. უცხოელი პატიმრები უნგრეთში პატიმრების მთლიანი მოსახლეობის 15%-ს შეადგენენ.

LGBTQIA+ ■ გერმანიაში, ჰამბურგის ციხის კანონების შემოთავაზებული ცვლილებები მიზნად ისახავს პატიმრების მიერ მათი გენდერული იდენტობის თვითაღქმის გათვალისწინებას.

უვადო სასჯელი ■ მოლდოვაში, 28 უვადო პატიმრობამისჯილმა დაიწყო შიმშილობა, რამაც აიძულა ომბუდსმენი, შეედგინა სპეციალური ანგარიში მათთან დაკავშირებული სიტუაციის შესახებ.

კვება ■ ავსტრიაში ვენის უმაღლესმა რეგიონულმა სასამართლომ გამოაცხადა, რომ პატიმრის უფლება, მიიღოს ადეკვატური რაოდენობის საკვები, რომელიც აკმაყოფილებს კვების სტანდარტებს და მირთმეულია კვებისთვის შესაფერის დროს, დაირღვა კონკრეტული პატიმრის შემთხვევაში, რომელმაც სადილი დილის 10:45 საათზე მიიღო. სასამართლოს გადაწყვეტილება ეფუძნებოდა კვების შესახებ მეცნიერულ ფაქტებს, და საცალო ვაჭრობისა და გასტრონომიული სექტორების პრაქტიკას.
უნგრეთში, მთავრობის მიერ პატიმრების საკვებით უზრუნველსაყოფად ციხის დაწესებულებებისათვის გამოყოფილი თანხა გაიზარდა ქვეყანაში მაღალი ინფლაციის შედეგად. დამკვირვებელთა თანახმად, საჭიროების მიუხედავად, გაზრდა არასაკმარისია იმისთვის, რომ ყველა პატიმარმა მიიღოს სათანადო ხარისხის საკვები დღეში სამჯერ, მათი საჭიროებების შესაბამისად.

წინასწარი პატიმრობა ■ ავსტრიაში, საკონსტიტუციო სასამართლომ გააუქმა, როგორც არაკონსტიტუციური, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის დებულება, რომელშიც ნათქვამია, რომ წინასწარი პატიმრობა უნდა დაწესდეს ყველა საქმეზე, რომელიც ეხება დანაშაულს მინიმალური 10 წლიანი სავალდებულო სასჯელით, თუ არ არსებობს გარკვეული პირობები. ეს გადაწყვეტილება მიჰყვება სხვა დანაშაულისთვის წინასწარი პატიმრობის შეფარდების საპირისპირო დასაბუთებას.
პოლონეთში, იუსტიციის სამინისტრომ აცნობა ადამიანის უფლებების კომისარს, რომ ის არ აპირებს საკონსტიტუციო ტრიბუნალის ორი გადაწყვეტილების აღსასრულებლად ზომების მიღებას, რაც ხაზს

უსვამს წინასწარი პატიმრობის სისტემის რეფორმირების აუცილებლობას, რომელიც წლების განმავლობაში უფრო სადამსჯელო გახდა.

ციხი პოლიტიკა ■ ლიეტუვაში, ციხის დეპარტამენტი და მისი დაქვემდებარებული ინსტიტუტები ერთიან იურიდიულ პირად ცენტალიზდა - ციხის სერვისი (მომსახურება). ამ რეფორმამ უნდა უზრუნველყოს ციხეებში ინდივიდუალური სტრუქტურული ერთეულების შემცირება 40%-ით და მენეჯერული პოზიციების - 55%-ით. ასევე ლიეტუვაში 2023 წლის 1 იანვარს ძალაში შევიდა სასჯელის აღსრულების ახალი კოდექსი და ამან რიგი პოზიტიური ცვლილებები უზრუნველყო პატიმრების კერძო და ოჯახური ცხოვრების, სამუშაოსა და ვადამდელი გათავისუფლების უფლების თვალსაზრისით.
უკრაინაში, მთავრობამ მიიღო პენიტენციური სისტემის რეფორმების სტრატეგია 2022 და 2026 წლებისათვის და აგრეთვე მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა.

ციხის სტატისტიკა ■ მოლდოვაში, 2021 წელს მიღებული ამნისტიის კანონის გაზრდილმა გამოყენებამ ვერ უზრუნველჰყო ციხის გადატვირთულობის შემცირება, რაც ქვეყანაში 18 ციხიდან მესამედის პრობლემაა. მომავალმა სტატისტიკამ შეიძლება აჩვენოს კიდევ უფრო მძიმე სურათი იუსტიციის სამინისტროს ბრძანებით ციხის ტევადობის თითო პატიმარზე 4 კვ.მ გაანგაარიშების სტანდარტის აღდგენის შემდეგ.
პორტუგალიაში ბოლო სტატისტიკის მიხედვით ციხის მოსახლეობა, რომელიც კოვიდ-19 პანდემიის შემდეგ შემცირდა, დაუბრუნდა ისეც პანდემიამდე ზღვარს 12 000-ზე მეტი პატიმრით, 2022 წლის დეკემბრის მონაცემებით.
ჩეხეთის რესპუბლიკაში, იუსტიციის სამინისტრომ მოამზადა სამოქმედო გეგმის პროექტი, რომელიც მიზნად ისახავდა მცირე დანაშაულებისთვის პატიმრობის სასჯელის ფინანსური ჯარიმით ჩანაცვლების შესახებ, ციხის გადატვირთულობის თავიდან ასაცილებლად - ევროკავშირში ერთ-ერთი ყველაზე მაღალი მაჩვენებლით.

პატიმრები ომის დროს ■ რუსეთში, უკრაინაში რუსული ძალების გვერდით საბრძოლველად პატიმართა რეკრუტირება რუსეთის თავდაცვის სამინისტრომ გადაიბარა. მანამდე პატიმრების რეკრუტირებას ახორციელებდა კერძო სამხედრო კომპანია - ვაგნერი. უკრაინაში დისლოცირებულმა პატიმრებმა დიდი დანაკარგები განიცადეს (დაახლოებით 30,000, საიდანაც 9,000 მოკლულ იქნა).

კერძო და ოჯახური ცხოვრება ■ ლიეტუვაში სასჯელის აღსრულების კოდექსისა და წინასწარი პატიმრობის აღსრულების შესახებ კანონის ცვლილებები საშუალებას აძლევს ციხის დირექტორებს, მიიღონ ზომები პატიმართა მიმოწერის, სატელეფონო ზარების და ვიზიტების უფლების ხელყოფის მიზნით; შეაჩერონ პატიმრების უფლება ციხიდან შვებულებაზე; და შეზღუდონ პატიმართა კონტაქტი სხვა პატიმრებთან.

პროცედურული უფლებები ■ გერმანიაში, ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ ჩამოაყალიბა პატიმრებისათვის მაღალი პროცედურული სტანდარტები, რომელთაც სურთ შუალედური ზომების მიღება.
ბულგარეთში, ადმინისტრაციულმა სასამართლომ დააწესა ძალიან მცირე კომპენსაცია ციხის უფლებების სერიოზული დარღვევებისათვის, მაგ. პატიმრები, რომლებიც არაადეკვატურ პირობებში არიან დაკავებულნი. ეს გადაწყვეტილება აერთიანებს ადგილობრივი ადმინისტრაციული სასამართლოების პრაქტიკას, რომელიც არაეფექტურს ხდის ციხის საკითხებთან დაკავშირებით ბოლოს შემოღებულ საკომპენსაციო საშუალებას.
საბერძნეთში სამოქალაქო და სისხლის სამართლის უზენაესი სასამართლოს პროკურატურამ გამოსცა ორი ცირკულარი დაკავების პირობებთან დაკავშირებულ საქმეებში სამართლებრივი დაცვის ეფექტიანი უფლების განმარტებისა და გამოყენების შესახებ. ისინი ეხება სახელმწიფო ოფიცრების მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენების შესახებ დაკავებულთა სარჩელების განხილვას, და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრეცედენტული სამართლის მნიშვნელობას პატიმრობის პირობებისა და ეფექტური დაცვის საშუალებების, მათ შორის სამართლიანი კომპენსაციის, მისაღები სტანდარტების განსაზღვრაში.
რუსეთში საკონსტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ წინასწარი დაკავების ცენტრებს შორის ტრანსფერის გადაწყვეტილება უნდა დაექვემდებაროს სასამართლო განხილვას. ხშირი ტრანსფერები ხშირად გამოიყენება პატიმრებზე ზეწოლის მიზნით.

შეზღუდვები ■ გერმანიაში ფედერალურმა საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ სამოქალაქო საავადმყოფოებში საწოლებზე პატიმართა ხელბორკილებით მიბმა ან შებოჭვა, მათი პირადი გარემოებების გათვალისწინების გარეშე არღვევს კონსტიტუციას. ფედერალური საკონსტიტუციო სასამართლო ასევე განმარტავს პროცედურულ სტანდარტებს, რომლებიც პატიმრებმა უნდა დაიცვან მათ წინააღმდეგ გამოყენებული შეზღუდვის ზომების გასაჩივრებისას.

სასჯელის ცვლილება ■ დიდ ბრიტანეთში უზენაესმა სასამართლომ განმარტა პირობები, რომელთა დადგომისას აღმასრულებელ ხელისუფლებას შეუძლია გამოიყენოს თავისი დისკრეციული უფლებამოსილება, რომ მოითხოვოს დაკავების გახანგრძლივება პირობითი გათავისუფლების თარიღისას ავტომატური გათავისუფლების უფლების მქონე პატიმართა განსაზღვრული სასჯელისთვის, თუ მიაჩნიათ, რომ ეს პირი წარმოადგენს საზოგადოებისთვის სერიოზული ზიანის მიყენების მნიშვნელოვან რისკს.

წამება და არასათანადო მოპყრობა ■ მოლდოვაში იუსტიციის სამინისტრომ დააორგანიზა ვორკშოპი ციხეში არასათანადო მოპყრობის პრევენციის თაობაზე არასამთავრობო ორგანიზაცია Promo-LEX-ის მიერ მომზადებული ანგარიშის გამოქვეყნების შემდეგ, რომლის თანახმად ეს საკითხი კვლავ მწვავედ დგას.

პოლონეთში, NPM-მა გააფრთხილა ხელისუფლება წამებისა და არაადამიანური ან დამამცირებელი მოპყრობის შესაძლო შემთხვევების შესახებ ქვეყნის ერთ-ერთ ციხეში.

რუსეთში რეგიონულმა სასამართლომ დაიწყო პატიმრების ფართო-მასშტაბიანი წამების საქმის შესწავლა.

სრული გამოცემა იხილეთ ჩვენს ვებ-გვერდზე >>

განსაკუთრებულ მადლობას ვუხდით ჩვენს წევრებსა და ასოცირებულ პარტნიორებს ბიულეტენის ერთობლივად შედგენისათვის!

EUROPEAN PRISON LITIGATION NETWORK

www.prisonlitigation.org
21ter rue Voltaire

75011 Paris

France
contact@prisonlitigation.org

წინამდებარე საინფორმაციო ბიულეტენი დაფინანსებულია ევროკავშირის და რობერტ კარის ფონდის მიერ. თუმცა, აქ გამოხატული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნით მხოლოდ ავტორებს და აუცილებლად არ ასახავს ევროკავშირის, ევროკომისიის, ან რობერტ კარის შეხედულებებსა და მოსაზრებებს. ევროკავშირი, ევროკომისია, და არც რობერტ კარის ფონდი არ შეიძლება იყოს მათზე პასუხისმგებელი.

ROBERT CARR FUND For civil society networks